განკარგულება:**g-81. 81230092**
თარიღი:**09/01/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №5

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის მუხლიდან სუბსიდიის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №38 დადგენილების შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ად ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცნობად იქნეს მიღებული, ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვის მარშრუტებზე გასაცემი დიზელისა და ბენზინის საწვავის ოდენობა განისაზღვროს დანართის შესაბამისად. (დანართი №1 თან ერთვის.)

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით ტრანსპორტის ხელშეწყობის მუხლიდან დიზელისა და ბენზინის საწვავის ამ განკარგულებით პირველი მუხლით გათვალისწინებული რაოდენობით შესყიდვის მიზნით სუბსიდია მიეცეს შპს „საჭე ცაგერს“.

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, მერის მოვალეობის შემსრულებელმა და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, 2023 წლის ბიუჯეტის ტრანსპორტის ხელშეწყობის შესაბამისი მუხლიდან ანგარიშსწორება მოახდინოს შპს „საჭე“ ცაგერი დირექტორის მიერ წარმოდგენილი „ანგარიშ-ფაქტურების“ შესაბამისად.

4. დაევალოს „საჭე“ ცაგერის დირექციას ცაგერი-ამბროლაურის მარშრუტზე მგზავრობის ტრანსპორტირების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს აუქციონის გარეშე ერთეტაპიან ელექტრონულ ტენდერის საშუალებით.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქუჩა №69).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი